**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის**

**ო ქ მ ი №01-06/10**

**დაბა ქედა,** **31 აგვისტო 2026 წელი.**

**სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.**
**სხდომა დამთავრდა: 15:10 საათზე.**

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 24 წევრიდან ესწრებოდა 21.
**სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე** - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
**სხდომას ესწრებოდნენ:**
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ნაზიმ ჩხეიძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ამირან დევაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ზვიად არძენაძე -საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ანზორ გოგიაშვილი-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მერაბ ტაკიძე-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
არკადი საკანდელიძე-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
რამაზ თავდგირიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა"-ს თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
დურმიშხან შავიშვილი-საკრებულოს წევრი;
რამაზ ალიქაძე-საკრებულოს წევრი;
გივი ლორთქიფანიძე-საკრებულოს წევრი;
მურად დიასამიძე-საკრებულოს წევრი;
ჯამბულ შარაბიძე-საკრებულოს წევრი;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი.

**სხდომას არ ესწრებოდნენ:**
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
თენგიზ ყადიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა"-ს თავმჯდომარის მოადგილე.

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:**
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ჰამიდა ზოიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/10 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

31 აგვისტო, 2026 წელი

| # | სახელი, გვარი | თანამდებობა | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | ამირან ცინცაძე | საკრებულოს თავმჯდომარე | |
| 2 | რომან დავითაძე | თავმჯდომარის პირველი მოადგილე | |
| 3 | რეზო თურმანიძე | თავმჯდომარის მოადგილე | |
| 4 | არჩილ გორგილაძე | თავმჯდომარის მოადგილე | |
| 5 | ამირან დევაძე | კომისიის თავმჯდომარე | |
| 6 | ამირან წულუკიძე | კომისიის თავმჯდომარე | |
| 7 | ნაზიმ ჩხეიძე | კომისიის თავმჯდომარე | |
| 8 | ლევან ბერიძე | კომისიის თავმჯდომარე | |
| 9 | მერაბ ნაკაშიძე | კომისიის თავმჯდომარე | |
| 10 | ლევან ვერძაძე | ფრაქციის თავმჯდომარე | |
| 11 | რამაზ თავდგირიძე | ფრაქციის თავმჯდომარე | |
| 12 | მარინა ბარამიძე | ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე | |
| 13 | მამუკა გოგოლიშვილი | ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე | |
| 14 | მერაბ ტაკიძე | ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე | |
| 15 | ანზორ გოგიაშვილი | ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე | |
| 16 | არკადი საკანდელიძე | ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე | |
| 17 | ზვიად არძენაძე | ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე | |
| 18 | თენგიზ ყადიძე | ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე | |
| 19 | მზია ბოლქვაძე | საკრებულოს წევრი | |
| 20 | დურმიშხან შავიშვილი | საკრებულოს წევრი | |
| 21 | მურად დიასამიძე | საკრებულოს წევრი | |
| 22 | გივი ლორთქიფანიძე | საკრებულოს წევრი | |
| 23 | რამაზ ალიქაძე | საკრებულოს წევრი | |
| 24 | ჯამბულ შარაბიძე | საკრებულოს წევრი | |

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ სხდომაზე დამსწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 31 აგვისტოს №01-06/10 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

**1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

**მომხსენებელი**: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ეკა გოგუაძე
**თანამომხსენებელი**: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

**2 .„ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 2 სექტემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

**მომხსენებელი:** საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

**3 .„ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

**მომხსენებელი:** მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: გულად წითელაძე
**თანამომხსენებელი:** საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

4. **2026 წელს მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

**მომხსენებელი**: მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ
საკითხთა და ძეგლთა დაცვის
სამსახურის უფროსი: ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე
**თანამომხსენებელი**: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ნაზიმ ჩხეიძე

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 20**
**წინააღმდეგი - 1 (ჯამბულ შარაბიძე)**

**დამტკიცდეს:** ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 31 აგვისტოს №01-06/10 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

**1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელმა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ეკა გოგუაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. (წერილის ნომერი: №12-95262391-95, 27.08.2026 წელი.) და გააცნო 2026 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებათა რეესტრი შემდეგი სახით:

| № | პროგრამული კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | თანხა -/+ | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | ნაშთის მოსესხება | 15 000 | |
| 2 | 1.3.3.1.2.1.1 | აჭარის მთავრობის თავმჯდომარის 2026 წლის 06 ივლისის N587 ბრძანება | 295 684 | სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (აჭარა ა/რ სარეზერვო ფონდიდან) |
| 3 | 1.3.3.1.1.1.2 | საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 მარტის N589 განკარგულება, | 5 000 | მიზნობრივი ტრანსფერი |
| 6 | 01 01 02 | მუნიციპალიტეტის მერია | 150 000 | შრომის ანაზღაურება 105000 ლარი, საქონელი და მომსახურება (შტატგარეშე) 45000 ეკონომიიდან მიღებული რესურსი |
| 7 | 05 01 03 01 | შპს სარაგბო კლუბი ფირალები | 7 300 | სუბსიდია |
| 8 | 05 02 06 02 | ქედის მუნიციპალიტეტის, წონიარისის ადმინისტრაციული ერთეულის კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა | 506 000 | |
| ჯამი | | | 978 984 | X |
| № | პროგრამული კოდი | ასიგნებების დასახელება | თანხა +/- | შენიშვნა |
| 1 | 01 01 02 | მუნიციპალიტეტის მერია | 5 000 | 5 000 ლარი მიზნობრივი ტრანსფერის დაზუსტება, მუხლებს შორის გადატანა: 600 ლარი შრომის ანაზღაურებიდან სოციალურ უზრუნველყოფაში |
| 2 | 01 02 01 | სარეზერვო ფონდი | 50 000 | |
| 3 | 02 01 07 | ორი ერთეული სპეცტექნიკის შეძენა | 506 000 | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | (ამწეკალათა და ექსკავატორ-დამტვირთველი) | | |
| **4** | **02 08** | შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი | **0** | მუხლებს შორის გადატანა: 1 900 ლარი სუბსიდიიდან სხვა კაპიტალურში |
| **5** | **03 01 01** | შპს ქედის კომუნალურსერვისი | **42 000** | **სუბსიდია** 40 000 ლარი გარე განათების ელექტროენერგიის ღირებულება, **სხვა ხარჯები** 2 000 ლარი გარე განათების სისტემების ქსელზე მიერთება |
| **6** | **04 01 01** | ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება | **0** | მუხლებს შორის გადატანა: 5 800 ლარი შრომის ანაზღაურებიდან სოციალურ უზრუნველყოფაში |
| **7** | **04 02 03** | საჯარო სკოლებისთვის ბრიკეტების შეძენა | **15 000** | |
| **8** | **05 01 01** | ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა | **0** | მუხლებს შორის გადატანა: 7 000 ლარი სხვა ხარჯებიდან საქონელი და მომსახურებაში(მივლინება ქვეყნის გარეთ) |
| **9** | **05 01 02** | სპორტული ღონისძიებების ორგანიზება | **0** | მუხლებს შორის გადატანა: 17 000 ლარი საქონელი და მომსახურებიდან სხვა სხვა ხარჯებში |
| **10** | **05 02 01** | ა.ა.ი.პ. ქედის კულტურის ცენტრი | **50 000** | საახალწლოდ გარე განათების მოწყობა |
| **11** | **05 02 02** | ა.ა.ი.პ. ქედის სახელოვნებო სკოლა | **7 300** | შრომის ანაზღაურება 6300 ლარი, საქონელი და მომსახურება 1000 ლარი |
| | **05 02 03** | ა.ა.ი.პ. ქედის ისტორიული მუზეუმი | **0** | |
| **12** | **05 01 03 02** | ა.ა.ი.პ. ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა | **8 000** | 3000 ლარი ავტორემონტი, 2000 ლარი სპორტული ინვენტარი, 3000 ლარი სპორტული ფორმები |
| **13** | **05 02 10** | რელიგიური საქმიანობის ხელშეწყობა | **0** | მუხლებს შორის გადატანა: 200 000 ლარი სოციალურ უზრუნველყოფიდან სხვა კაპიტალურ ტრანსფერში |
| **14** | **06 02 13** | სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (აჭარა) | **295 684** | სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (აჭარა ა/რ სარეზერვო ფონდიდან) |
| **ასიგნებების ჯამი** | | | **978 984** | **X** |
| **ხარჯებსა და შემოსავლებს შორის ბალანსი** | | | **0** | **X** |
| **ნაშთიდან მოსესხების შემცირება** | | | | **X** |
| **საერთო ბალანსი** | | | **0** | **X** |

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 20**
**წინააღმდეგი - 1 (ჯამბულ შარაბიძე)**
**დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**(დადგენილება N:7).**

**2. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 2 სექტემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელმა აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა „ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 2 სექტემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №:95-95262371-95, 25.08.2026 წელი) და განმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია „ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 2 სექტემბრის №12 დადგენილების დანართი №1-ის შეცვლა და შემდეგი სახით ჩამოყალიბება:
„დანართი №1

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისა და ხარჯვის წესი

**მუხლი 1.** ზოგადი დებულება
ეს წესი აწესრიგებს ქედის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანი შეხვედრების, მიღებების, სემინარების, კონფერენციების მოწყობასთან, სახელმწიფო ორგანოების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, სხვადასხვა ორგანიზაციების, ასევე საზღვარგარეთის წარმომადგენელთა მიღებასა და მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში და უზრუნველყოფს ამ მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას.

**მუხლი 2.** წარმომადგენლობითი ხარჯების შემადგენლობა
წარმომადგენლობით ხარჯებს განეკუთვნება:
**ა)** საერთაშორისო და შიდა დანიშნულების კონფერენციების, სემინარების, თათბირების, მიღებების და შეხვედრებისათვის (მათ შორის, საპატიო მოქალაქეების დაჯილდოებასთან) გაწეული ხარჯები;
**ბ)** მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ სხდომების, მათ შორის გასვლითი სხდომების გამართვასთან დაკავშირებული ხარჯები;
**გ)** მუნიციპალიტეტის სახელით გამართული ღონისძიებებისათვის, აგრეთვე სტუმრების მომსახურების უზრუნველსაყოფად გასაწევი ხარჯები, მათ შორის:
**გ.ა)** საკონსულო მომსახურების(ვიზების გაფორმება-გაგრძელება) ხარჯები;
**გ.ბ)** აეროპორტში დახვედრა-გაცილების (vip დარბაზის მომსახურება) ხარჯები;
**გ.გ)** სატრანსპორტო მომსახურების ხარჯები;

**გ.დ)** სასტუმროს მომსახურების (ადგილების დაჯავშნა, ცხოვრების ღირებულება) ხარჯები; გ.ე) პროტოკოლით გათვალისწინებული მიღებებისა და წვეულებებისათვის (წვენი, მინერალური წყლები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) გათვალისწინებული ხარჯები;
**გ.ვ)** საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯები;
**გ.ზ**) სუვენირების შეძენის ხარჯები;
**გ.თ)** მთარგმნელის მომსახურების ანაზღაურების ხარჯები.

**მუხლი 3**. დაფინანსების წყარო
წარმომადგენლობითი ღონისძიებების დაფინანსება ხორციელდება ქედის მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

**მუხლი 4**. სახსრების ხარჯვის წესი
**1**. წარმომადგენლობითი ხარჯებით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელების შესახებ მოთხოვნა მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მოხსენებითი ბარათის სახით (რომელიც შეიცავს ინფორმაციას წარმომადგენლობითი ხარჯის მიზნობრიობისა და სტუმართა რაოდენობის შესახებ) წარედგინება მერს, შემდგომში მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში და მერიის შესყიდვების განყოფილებაში წარდგენის მიზნით.
**2.** ღონისძიებების ჩატარების შემდგომ, ღონისძიების დაგეგმვა/განხორციელებაში მონაწილე სტრუქტურული ერთეულების/პირების მიერ წარდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის საფუძველზე, მერიის ადმინისტრაციული სამსახური მერის სახელზე ამზადებს მოხსენებით ბარათს, რომელიც უნდა მოიცავდეს: ინფორმაციას სტუმართა რაოდენობის შესახებ, ღონისძიების მიზანს, მიღებულ გადაწყვეტილებათა ჩამონათვალს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მოხსენებით ბარათს უნდა დაერთოს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების ამსახველი დოკუმენტები (მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედნადები და სხვა). აღნიშნულის საფუძველზე, მერის რეზოლუციით საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს.
**3.** საკრებულოს შემთხვევაში ღონისძიებების ჩატარების შემდგომ, ღონისძიების დაგეგმვა/განხორციელებაში მონაწილე სტრუქტურული ერთეულების/პირების მიერ წარდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის საფუძველზე, საკრებულოს აპარატი საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს წერილის პროექტს, რომელიც უნდა მოიცავდეს: ინფორმაციას სტუმართა რაოდენობის შესახებ, ღონისძიების მიზანს, მიღებულ გადაწყვეტილებათა ჩამონათვალს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). წერილს უნდა დაერთოს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების ამსახველი დოკუმენტები (მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედნადები და სხვა). წერილს საკრებულოს თავმჯდომარე ხელმოწერით უგზავნის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, რომელიც ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს.
**4**. ღონისძიებების ორგანიზება-განხორციელებაში მონაწილე პირები პასუხისმგებელნი არიან ხარჯების მიზნობრივად განკარგვაზე.
**5.** წარმომადგენლობით ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯები უნდა განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორების წესით.“

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 20**
**წინააღმდეგი - 1 (ჯამბულ სარაბიძე**
**დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**(დადგენილება N:8 ).**

**3. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა გულად წითელაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. (წერილის ნომერი: №12-95262292-95, 17.08.2026 წელი) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია - თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელი ცხემნაში, მე-2 ქუჩის I - შესახვევის №5-ში მდებარე 736.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N21.03.33.764), რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა (2026 წლის 11 აგვისტოს №3543/02 წერილი) მოითხოვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას, შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის სარგებლობაში გადაცემის მიზნით. აღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ განთავსებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტის ქედის ადმინისტრაცია, დეპარტამენტის წინაშე მდგარი რიგი საქმიანობებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, მათი ეფექტიანი და შეუფერხებელი განხორციელებისათვის ესაჭიროება ქედის მუნიციპალიტეტში დამატებით მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემა. შემდგომში, ლოჯისტიკისა და ქონების მოვლა-შენახვის სამუშაოების მომსახურებისათვის შუალედური სასაწყობე ბაზის მოსაწყობად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 20**
**წინააღმდეგი - 1 (ჯამბულ შარაბიძე)**
**დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**(განკარგულება N:გ-95.95262431 ).**

**4. 2026 წელს მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელმა მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსმა ეკატერინე ქაჯაია-კომახიძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა 2026 წელს მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. (წერილის ნომერი: №12-95262393-95; 27.08.2026 წელი) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისებით მიზნით ფულადი ჯილდოს გაცემის წესისა (შემდგომში – წესი) და ფულადი ჯილდოს ოდენობის განსაზღვრა აღნიშნული წესის მიზანია სპორტის მხარდაჭერა, სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად განხორციელდა სპორტსმენთა წახალისების არსებული მექანიზმის არსებითი გადახედვა და ფულადი ჯილდოების გაცემის სისტემის დახვეწა კერძოდ, საქართველოს ჩემპიონატში საპრიზო ადგილების დაკავების შემთხვევაში მოქმედი პერიოდული ფულადი ანაზღაურების ნაცვლად განისაზღვროს ერთჯერადი ფულადი ჯილდო, ხოლო სხვა

სპორტულ ღონისძიებებში, ტურნირებსა და ჩემპიონატებში მიღწეული შედეგებისათვის გათვალისწინებული ფულადი ჯილდოების ოდენობები გადაიხედა და შემცირდა. პროექტით განისაზღვრება იმ პირთა წრე, რომელთაც შეიძლება მიეცეთ ფულადი ჯილდო.

ქედის მუნიციპალიტეტთან დაკავშირებულ სპორტსმენად განიხილება პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმებს, მათ შორის, არის ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სპორტულ დაწესებულებაში/სპორტულ წრეში აღზრდილი ან შესაბამის სპორტულ ღონისძიებაში ქედის მუნიციპალიტეტის სახელით წარმოდგენილი.

ფულადი ჯილდოს მიღების შესაძლებლობა გათვალისწინებულია აგრეთვე იმ მწვრთნელებისთვის, რომელთა მიერ მომზადებულმა სპორტსმენებმა შესაბამის სპორტულ ღონისძიებებში საპრიზო ადგილი დაიკავეს.

ფულადი ჯილდოს ოდენობები დიფერენცირებულია სპორტული შედეგის, სპორტის სახეობის, ასაკობრივი კატეგორიის, სპორტული ღონისძიების დონისა და დაკავებული საპრიზო ადგილის მიხედვით. დანართი №2 მოიცავს როგორც ინდივიდუალურ, ისე გუნდურ სპორტულ შედეგებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 20**
**წინააღმდეგი - 1 (ჯამბულ შარაბიძე)**
**დაადგინეს: მიღებულ იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**(განკარგულება N:გ-95.95262432 ).**

შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 15:10 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**სხდომის თავმჯდომარე:** **ამირან ცინცაძე**

**ოქმი შეადგინა:**
**საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა**
**და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი** **ჰამიდა ზოიძე**